ეროვნული ბიბლიოთეკა

ს.ბ. ინ 4, 12, 24.

ახალი გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 193. შაბათი, 25 დეკემბერი 1910 წ. დამატების № 33

ღვთის მფოლველი გავფვით.
სურათი რუბენსისა დრეზდენის გალერეიდგან.

დედის გული

(ლეგენდა)

I

მდუმარს ქვეყანას, მთვლემავს, მძინარეს
დაჰკაშკაშებდა თავს ბადრი მთვარე
და მის მქრალს შუქსა, ნელ-მოელვარეს,
მთლად მოეფინა ის არე-მარე.
კაცთ ერიამულის ხმა მიმწყდარიყო,
ცოდვილს ქვეყანას ჩასძინებოდა
და ძილშიც იგივ ცოდვა, ბოროტი
აღაშფოთებდა, ეზმანებოდა;
დღიურ ცხოვრების ავი-ვარამი
გულს ჩაჰყოლოდა, არ ასვენებდა
და განვლილს ჭირსა, მომავალს ნაღველს
ლანდად ურდგენდა, გაახსენებდა.
სდუმდა სულ ყველა, მხოლოდ-კი სიო,
ეს განთიადის წინამორბედი,
ჰქროდა, ცელქობდა და ხეთა ფოთოლს
უალერსებდა ღაღი, თავ-ხედი.
შორით ისმოდა მამლის ყივილი,
ფრინველი ფრინველს სალამს უყეფდა,
სადღაც ერთგული სახლის დარაჯი
თავ-გამოდებით ვიღაცას ჰყეფდა.
არსიდგან სარკმლით არ გამოსჩანდა,
არც-კი ჰბჟუტავდა სინათლის შუქი
და შავ-ბნელ ნისლად გადაჰფენოდა
მთელს იმ მიდამოს წყვდიადის ბუქი.
მაგრამ ჩუ... აგერ ეს რა სახლია,
ამ ყვავილნარში ტურფად ჩადგმული?
ეს რად-ღა ჰფხიზლობს, შიგ ვინ სადგურობს,
რა ხორციელი და რა სულდგმული?
რას აუნთია ამ დროს სანთელი,
დღესასწაულს, თუ ვარამსა, ჭირსა,
მისი პატრონი ჰხარობს და ჰლხინობს,
თუ მწუხარებით ცრემლსა ჰღვრის, სტირსა?!..
არა, არა ჰგავს ეს ლხინის სადგურს,
ლხინს დუმილი სძულს და ერიდება
და სამარებრივს ასეთს სიჩუმეს
არასოდეს არ მოურიგდება.
იქნება ჰფხიზლობს აქ მომაკვდავი
და სული ტკბილი ვერ დაუთმია,
კანკალით ელის აღსასრულის წამს
და მთელი ღამე მას გაუთია;
უძლურის ხელით ეპოტინება
ამ წუთი-სოფლის ამაოებას,
შესჩვევია ჭირს, ამ ტანჯვის ქვეყნად
მოელის კიდევ სიტკბოს და შვებას?..
იქნება ნორჩი, ბრძენი ჭაბუკი,
ამ ქვეყნის ზრუნვით გატაცებული,
ჰფიქრობს თვის მამულს წამალი დასდოს,
კვლავ შეჰქმნას მძლავრი და დიდებული,
კვლავ დაფბრუნოს ბედნიერება,
ელირსოს ტანჯულ მოძმეთა ლხენას,
ბოლო მოუღოს საერთო წუხილს,
ბორკილი შეხსნას საძმობლო ენას?..
იქნება ორგულს, ქვეყნის გამწირავს,
წამოსდგომია სინიდისი თავს
და მის ჩადენილს ბოროტებასა
სიმართლის ადლით უწყავს, უზომავს?..
იქნება მხცოვანს ბერს, სულის მამას
დაუჩოქნია მაცხოვრის წინა,
უფალს ავედრებს ცოდვილს ქვეყანას...
და მან აქამდე არ დააძინა?..
იქნება... მაგრამ რა არ იქნება,
ვინ მისწვდეს კაცის აზრსა დიადსა,
იმისს ათასს გვარს გულის-თქმას, ფიქრსა,
ვნებათა ღელვას და ხვაშიადსა?!..

II

თვით სიყვარული, მშვენიერება,
ნიჭი, სიმდიდრე და ხელოვნება
ერთად შეყრილან იმისის ტრფობით,
ერთი ჰქონიათ სურვილი, ნება
და შეემკიათ ეს სამყოფელი,
სამოთხის მსგავსი, ძისი სადარო,
მეფეთათვისაც-კი სასიამო,
საოცნებელი და სანეტარო.
ვგონებ, რომ ჭმუნვა, წუხილი, დარდი
ამ სახლს ახლოც-კი ვერ მოეკაროს
და მწუხარებამ, აქ შემოსულმა,
მსწრაფლ გაიღიმოს, გამოიداროს.
მაგრამ რას ვხედავ?.. აგერ სარეცელს
პირ-ქვე ამხია ყმაწვილი ქალი;
გიშრის ნაწნავსა მთლად დაუფარავს
მისი გულ-მკერდი, ბროლის ფიქალი.
მის ნორჩსა სახეს, მთვარესავით ბადრს,
წუხილის ჩრდილი გადაჰფენია,
ამაყ თვალთაგან ალის ფერს ღაწვზედ
ჭმუნვის მოცქერს—ცრემლს უდენია.
სიტურფეს ნაღვლის ძაძა ჩაუცვამს,
ზედ გადასხმია ჭმუნვის სამსალა,
მაგრამ მაინც-კი არ დაუკარგავს
თვისი შვენება და თვისი ძალა.
ამ წუხილშიაც ისევე ჰშვენის
ძაისის ვარდი, ცრემლით ნამული,
რა თვალმა ჰნახოს, რომ არ დატყვევდეს,
ტრფობით შეტოკდეს, ქვაც იყოს, გული.
რამ შეურყია ნეტა გონება,
რამ შეუშფოთა მშვენიერს ძილი,
აქამდე ყოვლად დაურღვეველი,
მოსვენებული, მშვიდი და ტკბილი?..
სიზმარი ჰნახა მან საშინელი,
გულ-დასალონი და შემზარავი,
შეფრთხა, შეშინდა, ველარ გაუძლო
და ტკბილს ძილსაც-კი აართვა თავი.
წასთვლიმა თუ არ, ლანდი, აჩრდილი
მოხუცის სახით მას მოეჩვენა,
დარდი ფარული, გულს ჩამარხული,
კვლავ მოაგონა, კვლავ გაახსენა:
— „მშვენიერი ხარ, ბადრი, ლამაზი,
ყველა შემოგტრფის და თავს გევლება,
მაგრამ დაჰკარგავ მაგ სილამაზეს
და ტურფას ბედი გამოგეცვლება.
ვიდრე ნორჩი ხარ, სატრფოც შენია,
შენ გემონება, შენთვის თავს დასდებს...
დასტკბება... მერე, ვით დამჭკნარს ყვავილს,
შორს გადაგტყორცნის და გადაგაგდებს.
ვაჟკაცის გულსა სხვა გრძნობა ტკბილი
შეეპარება და დაიმონებს,
სხვა დაედება ტრფობის ბორკილი
და სხვა ახარებს, სხვა დააღონებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთი-ღა არის წამალი,
რომ შეგრჩეს სატრფოს სიყვარულია
და ეგ სიტურფე, აწ გაფურჩქვნილი,
და ეს წამალი... დედის გულია.
ჯერ ისევ ცოცხალს, ჯერ ისევ მფეთქავს
თუ რომ მოგიტანს თავის დედის გულს,
იგი აგაცდენს უბედურს მერმისს,
ის განამტკიცებს „ქვენსა სიყვარულს!“
ეს სთქვა მოხუცმა და მსწრაფლ მოსული
მსწრაფლადვე განქრა და მიეფარა,
ამით შეაკრთო ლამაზის გული,
მით დააღონა და დააძმარა.

III

ბნელს ცას გადაჰკრა ფირუზის ფერმა,
მთიები მიჰქრა და მიიმალა
და განთიადის მისაგებებლად
ფრინველთა გუნდი წამოიშალა.
გაისმა ირგვლივ ჭიკჭიკი, სტვენა,
თვალი აჭყიტა ჭინჭველამ, ჭიამ...
გადაიფურჩქნა და გადუშალა
დილის ცვარს გული ვარდმა და იამ.
გათენდა დილა მშვიდი და წყნარი,
ყვავილთ სუნს გრილმა სიომ დაჰბერა,
მიმოაბნია და ყოველ სულ-გმულს
გული დაუტკბო და აუძგერა.
მაგრამ ვახტანგის გულს რა დაატკბობს?
მას არ ღა ჰხიბლავს არცა ბუნება,
არც ფრინველთ ამო გალობა, სტვენა
და არცა ყვავილთ სურნელოვნება.
მის ჭაბუკს სახეს, კვლავ მოღიმარეს,
ზედ დასდებია სამარის ფერი,
შუბლი შეუკრავს, ძლივს დარაკრაკებს
გულით მოკლული, გონებით შტერი.
რადაც ნაღველი, მწველი, საზარო,
გესლად და შხამად ჩასთესლებია
და გულიც, ჭკუაც, ფიქრიც, გონებაც
მას შეუპყრია, დაჰმონებია.
დღეს პირველ ისმის იმის პირიდგან
ღვთის სამდურავი და საყვედური,
დღეს პირველ არის ის თავის ბედის
დამაწყევარი და ულმადური.
წყეული ფიქრი აღბორგებია,
გონებას უბნევს და არ ასვენებს,
ჰშფოთავს და ჰღელავს, ჰკრულავს ქვეყანას,
დღეს გაჩენისას ჰგმობს, შეაჩვენებს.
„დედის გულიო!“ და როგორც ელდა
ცახცახ-კანკალი ხოლმე აიტანს:
„ამ ბოროტების ჩამდენს, მომქმედს ხომ
მიწა გასქდება და თან ჩაიტანს...
ხომ მთლად დაირღვა ბუნების წესი,
გაუქმდა უფლის კანონი, სჯული,
ნადირად იქცა ადამიანი
და წაიწყმიდა ქვეყანამ სული!..
ეს როგორ მითხრა და გამაგონა,
პირში ან როგორ დაეძრა ენა,
რა მავნე სულმა აფიქრებინა,
რამ შთააგონა, რამ გაახსენა?!..
ღმერთო, მომეცი შეძლება, ძალა
ამოვიგლიჯო მკერდიდგან გული
და მოვიშორო ეს მომხიბლავი,
გრძნეული ტრფობა და სიყვარული!..
მაგრამ რის ღმერთი, სადღაა იგი,
ღმერთიც, გამჩენიც ჩემთვის ის არის,
მას შეუპყრია გრძნობა, გონება,
სულიც და გულიც იმას შეჰხარის.
ცხადად და ძილში, დღეცა და ღამეც
მისი სიტურფე თვალს ელანდება,
ფიქრი მარადის იმისკენ მიჰქრის
და ხსოვნას მხოლოდ ის აგონდება...
წავალ მასთანვე, შევთხოვ, შევტირებ,
მოვიულბობ რითმე გულს მრისხანეს, მწყრალს,
სთქვას და ქვეყანას კეცხლს წავუკიდებ,
ვიკისრებ ყოველს ცოდვასა და ბრალს,
მონად, მორჩილ ყმად გავუხდი ჩემს თავს,
თუ შემიბრალა და შეპიწყნარა...
დედის გულს-კია... ღმერთო, შეგცოდე!..
ვერ შევეხები... არა და არა!..“

IV

— „ოჰ, მშვენიერო, კვლავ დამიბრუნე
სულის მშვიდობა ამო და ტკბილი“,
ეეედრებოდა ვახტანგი სატრფოს,
მის წინ მორჩილად მუხლ-მოდრეკილი:
„მაგ საზიზღრობას, უმაგალითოს,
ვერ მოიქმედებს ჭკვათა-მყოფელი
და არცა თქმულა, არ გაგონილა,
რაც-კი არსებობს წუთი-სოფელი.
შვილმა რომ მშობლის ნაზს გულს შეახოს,
ვითა მტარვალმა, ბასრი მახვილი
და გაუგმიროს მკერდი და ძუძუ,
რომლის ტკბილის რძით არის აღზრდილი,—
ხომ მთლად დაბნელდა დღისა ნათელი,
მადლმა დაჰკარგა გრძნეული ძალა,
ცოდვით ძლეული ცა ჩამოინგრა,
ქვეყანას ძირი გამოეცალა...
ალბად მიხუმრე და გამომცადე,
თორემ ეგ რა გონს მოსასვლელია,
თვით პირუტყვიც-კი, ტყისა ნადირი
მაგის ჩამდენი, მაგის მქნელია?!..“
— „მე ჩემი ვთქვი და ახლა შენ იცი,
ან „დედის გული“, ან განშორება;
აშკარა არის, თუ დედა გიყვარს,
შენ შენი სატრფო რად გეყვარება!..
ის მოხუცია, ხან-გადასული,
ქვეყნად სიცოცხლით უკვე დამტკბარი,
ამ წუთი-სოფელს აღარას არგებს
აღარც ცოცხალი და აღარც მკვდარი.
ჩვენ-კი ნორჩნი ვართ, ახალგაზდანი,
სიცოცხლე გვწყურის, გვეხალისება,
ძარღვებში სისხლი გვიჩქეფს და გვიდუღს
და გული ტრფობის გრძნობით ივსება.
ან რა ცოდვაა, რომ დედამ შვილსა
დღენი დაუტკბოს, უმსხვერპლოს თავი
და ააცილოს ამ წუთი-სოფლად
მოსალოდნელი ჭირი და ავი.
კარგად ვიცი, რაც ძალა ექმნება
შენგან მოტანილს აქ „დედის გულსა“,
ის-ღა შემარჩენს სამარადისოდ
ჩემს სიტურფეს და შენს სიყვარულსა.
უიმისოდ-კი ჩვენი კავშირი
ხან-მოკლე არის, დროებითია
და შენი ფიცი მარად ტრფობისა
წარმავალია და თაღლითია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენის გულისთვის თავს გავწირავო,
ღმერთსაც-კი ვგმობო!“, მეფიცებოდი
და მეც მჯეროდა, ეხლა-კი ვხედავ,
თურმე სულელი დიდად ვცდებოდი.
თუ არ მატყუებ, მართლა გიყვარვარ
და ჩემი ტრფობა გულში გაქვს მტკიცე,
რაღად ჰყოყმანობ, ამით ეგ გრძნობა
დამინამდვილე და დამიმტკიცე.
თუ ეს არ გინდა, წა, გამეცალე,
თვალითაც ნულარ დამენახვები,
ჩემს სიყვარულსა, ჩემსა ალერსსა
შენ ვერასოდეს ვერ ელირსები!..“

ეს სთქვა ქალმა და პირი იბრუნა,
მდუღარე ცრემლი გადმოაბნია
და ამის ნახვამ თავს ზარი დასცა
ვახტანგს, გონება მთლად დაუბნია.
საბრალო ჰგრძნობდა, მის განშორებას
ვერ აიტანდა, მეტად უყვარდა...
სიმწარით თმაში ხელი იტაცა
და ვით შეშლილი კარში გავარდა.

V

განქრა მზის სხივი, ბოროტს ქვეყანას
ღამის ზეწარი გადაეფარა,
ერთურთის მტრობით მოღლილი ხალხი
ძილმა შეიპყრო და დააწყნარა.
ცას გადაეკრა შავი ღრუბელი
ვარსკვლავნი განქრნენ, მთვარე დაბნელდა,
ჰაერი შეჰკრა ნისლმა, ბურუსმა,
ნიავი შედგა, სუნთქვა გაძნელდა.
ბუნების მაჯა თითქოს არ სცემდა,
ცამ ქვეყნისაგან პირი იბრუნა,
ვერანას ჰგავდა მთელი მსოფლიო,
ზღვამ და ხმელეთმა სული გატრუნა...
ამ ჯოჯოხეთურს დუმილ-წყვდიადში
უცებ საზარლად ცამ დაიქექა
და მიწამ, თითქოს დანგრევა სწადსო,
დაიწყო ძრწოლით რყევა და ზნექა,
ბუქი ავარდა და მას დაერთო
მთათა გრიალი და ზღვათა ღელვა,
წვიმა, ავდარი, სეტყვა და მეხი,
ზარის დამცემი ქუხილი, ელვა...

და ამ დროს, როცა ღვთის რისხვის შიშით
თვით ნადირიც-კი ბუნაგში ძრწოდა,
ვიღაც უცნობი თმა-გაწეწილი,
თმა-აბურძგნული გზაზედ მორბოდა.
აკანკალებულს ხელებში ეპყრა
ადამიანის მთრთოლვარე გული,
ჯერ ისევ თბილი, ისევ მფეთქავი,
სისხლში შესვრილი და გათხუპნული.
უცებ წამოსდო ხეს ჩოხის კალთა,
წაიტორტმანა, დაეცა ძირსა,
სისხლში ამოსვრილ ხელიდგან გული
გადაუგორდა იქვე გზის პირსა
და ამ გულიდგან კვნესით მოესმა
ხმა ნაღვლისა ნაზი, მხურვალე:
„შვილო ვახტანგჯან, ხომ არაფერი
არ იტკინე-რა, შენ გენაცვალე?!..“

—

ხალხში ხმა დადის, ბევრს უნახავსო
მდინარის პირად ვიღაც შეშლილი,
უსმელ-უჭმელად ათენ-აღამებს,
არ ეკარება თვალებზედ ძილი,
მხოლოდ-ღა ოხრავს, „ვაი“-ს იძახის
წყალთან მწუხარედ ჩაცუცქებული
და დღე-და-ღამე განუწყვეტელად
ხელებს იბანსო გაშმაგებული.
ქანც-მოწყვეტილსა ოფლი ხვრთქლად სდის,
ხელების კანი მთლად ეყვლიფება,
მაგრამ უბედურს დედის სისხლი-კი
არ გადასდისო, არა სცილდება.

ა. ა[illegible]



კოტე მესხი და მისი მოვალენი იუბილეს მეორე დღეს.

რედაქტორ-გამომცემელი ი. სოლოლაშვილი. ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3